№ 271. დეკემბრის 16, კვირა. 1866—1884 დეკემბრის 16, კვირა. № 271

# დროება

„დროების" რედაქცია—სასახლის ქუჩაზე, დ. სარაჯოვის სახლში.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე; ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ Редакцію „Дроэба".

ფასი: წლით 9 მ., 11 თვით 8 მ. 50 კ.; 10 თვით—8 მ.; 9 თვით—7 მ 50 კ.; 8 თვით—7 მ.; 7 თვით—6 მ. 6 თვით—5 მ.; 5 თვით—4 მ. 50 კ.; 4 თვით—4 მ; 3 თვ.—3 მ.; 2 თვ.—2 მ.; 1 თ.—1 მ.

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა: სტრიქონზე რვა კაპ.; განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

„Объявленія изъ Россіи, Царства Польскаго и за границы принимаются только въ цент. конторѣ объявл. Л. Метцль., Москва, Петровка, № 6.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი.

მიიღება ხელის-მოწერა გაზეთს

„დროებაზედ"

1885 წლისათვის

თბილისში—„დროების" რედაქციაში; ქუთაისში—ძმ. ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში; ბათუმში—მოსე ნათაძესთან; თელავში—ვანო როსტომაშვილთან; გორში—ალალო თუთაევთან.

დაწვრილებით პირობები გაზეთის სათაურშია.

---

თბილისის კრუჟოკის დარბაზში

დღეს 16-ს და ორშაბათს დეკემბრის 17-ს

გამართული იქნება

ორი დიდი კონცერტი

ცნობილის სახალხო მომღერალის

სლავიანსკისა

ამისავე ხორის მონაწილეობით, რომელთან ერთად დაბრუნდა იგი ოსმალეთში, ბოლგარიაში და სერბიაში მოგზაურობის შემდეგ. ხოროს მართავს თვით დ. ა. სლავიანსკი. მთელი ხორო ჩაცმული იქნება მე-XVII საუკუნის რუსულ ტანისამოსში. დასაწყისი საღამოს 8½ საათზე.

ფასი დანომრილის ბილეთებისა—5 მან. 3 მან. 2 მან. 50 კ. და დაუნომრავისა—1 მან., 75 კ. ბილეთები ისყიდება ორივე კონცერტზე თბილისის კრუჟოკში, კასაში, ყოველ-დღე, დილის 10 ს—იდამ კასაში ისყიდება სიმღერათა კრებულები და ცალკე პიესები თხზ. და გამოც. ო. ხ. სლავიანსკისა, რომელთაც ასრულებს კონცერტებზე დ. ა. სლავიანსკი, აგრეთვე ფოტოგრაფიული სურათები. (1—1)

---

Pour paraître en 1885.

*DEUXIÈME ÉDITION*

*la*

MINGRÉLIE

par

J. Mourier

*1 vol. in-16 de 400 pages avec gravures et cartes*

CONTES GÉORGIENS

(XVII-e et XVIII-e siècles)

du

Prince Saba Soulkhan Orbéliani

par

J. Mourier

une brochurc in-16 tirée seulement à 50 exemplaires numérotés sur beau papier anglais teinté. (3—1)

---

ქართული თეატრი

კვირას, დეკემბრის 16-ს.

ქართული დრამატიული დასისაგან წარმოდგენილი იქნება:

I

მაჭანკალი

კომედია 2 მოქმედებად ი. ჭავჭავაძისა.

II

ავაზაკები

მე-2-რე მოქმედება ან. ფურცელაძისა.

III

ადვოკატი მელაძე

კომედია 2 მოქმედებად, გადმოკეთებული ი. მაჩაბლისაგან.

IV

დივერტისმენტი

ნ. ერისთავი წაიკითხავს თ. ა. წერეთლის პოემიდან: „თორნიკე ერისთავი" ქ. ანდრონიკოვისა და შავლენოვი ითამაშებენ ლეკურს.

მონაწილეობას მიიღებენ: ნ. გაბუნია-ცაგარლისა, ქ. ანდრონიკოვისა ქ. შიშიანი, აწყურელი და სხვ.

ადგილების ფასი შემცირებულია

დასაწყისი 8 საათზე.

---

თბილისი, დეკემბრის 16-ს.

ავტორი დღეს ჩვენს გაზეთში დაბეჭდილის წერილისა მიაქცევს ჩვენის მკითხველების ყურადღებას ერთს იმისთანა საგანს, რომელზედაც ხშირად გვილაპარაკნია «დროების» ფურცლებზე, და ხშირადაც უნდა ვილაპარაკოთ, რადგან იგი, როგორც ხსენებული წერილის ავტორიც ამბობს, თითქმის ლიტერატურაზედ ნაკლები ყურადღების ღირსი არ არის.

ერთ დროს, და დიდი ხანი არ არის მას აქეთ, რაც ეს დრო ისტორიას ჩავაბარეთ, სიხარულით ცას ვეწეოდით, როდესაც ქართული წარმოდგენა იმართებოდა ხოლმე. წელიწადში რომ ორი სამი წარმოდგენა მომხდარიყო, დიდი ამბავი იყო. ზოგიერთთ სცენის მოყვარეთ, რომელთაც სცენაზე სიარული და ლაპარაკი ეხერხებოდათ, პირველ არტისტებად ვსახავდით და აფიშებზედ დიდის ასოებით გამოვქიმავდით ხოლმე.

ეს დრო, ჩვენდა სასიამოვნოდ ისტორიას ჩაბარდა. ხუთი წელიწადია, რაც ჩვენმა თეატრმა საუკეთესო ნიჭის პატრონები გამოიყვანა სცენაზედ და დაგვაჩვია იმისთანა თამაშობით დატკბობას, რომლის ბადალსაც ხშირად საუკეთესო სცენებზედაც ვერა ნახავთ. ჩვენს პუბლიკას გემოვნება გაეხსნა და ერთგულადაც ეკიდებოდა (სამწუხაროდ, ეკიდებოდა და ჯერჯერობით აღარ ეკიდება) თეატრს, ვიდრე მასში ჩვენი ნიჭიერი არტისტები იყვნენ და მოქმედობდენ. მიუხედავად თბილისში გავრცელებული უფულობისა, ჩვენს თეატრში ხალხი საკმაოდ დადიოდა და დადიოდა არა იმიტომ, რომ აქა-იქ ქუჩებზედ ბილეთებს აჩეჩებდენ, ან სახლში უგზავნიდენ,—დადიოდა იმიტომ, რომ კმაყოფილებასა ჰგრძნობდა და სიამოვნებით ატარებდა საღამოს.

ჩვენ აქ ვლაპარაკობთ არა მხოლოდ იმაზე, რაც ერთისა და ორის წლის წინად იყო, ვლაპარაკობთ ამ ერთის თვის წინად მომხდარ ამბავზედ და იმედი გვაქვს, ვერავინ ვერ გვეტყვის, ვითომ ფაქტებს ვასხვაფერებდეთ, რომ ვსთქვათ,—წრეულს ჩვენი თეატრი განსაკუთრებით გაცხოველდა და კარგის ნიშნებითაც დაიწყო.

მაგრამ დიდხანს არ გასტანა ასეთმა კეთილმა დასაწყისმა და მალე სათეატრო დასს შუა განხეთქილება ჩამოვარდა. ჩვენ არ შევეხებით არც იმ წერილებს, რომელნიც რუსული გაზეთის «ნოვოე ობოზრენიის» ნომრებში იყვნენ დაბეჭდილნი, არც იმას, თუ ვინ არის მტყუანი და ვინ მართალი; ვიტყვით მხოლოდ, რომ როგორც წერილებმა ისე საზოგადოდ აწინდელი თეატრის გამგებლის ტაქტის უქონლობამ ერთხელ კიდევ თვალ-საჩინოდ დაამტკიცა, რომ თეატრის გამგებლობა არ უნდა იკისროს არც იმან, ვისაც ამ საქმისა არაფერი ესმის; არც იმან, ვინც თითონ დასში თამაშობს და მაშასადამე მიუფერებლად მოქმედებისათვის საჭირო თვისებანი აკლია. ჩვენს სიტყვებს ის ამტკიცებს, რომ ეხლა სათეატრო დასის ნაშთს თავისი დამამშვენებელი ტალანტები აღარა ჰყავს, წარმოდგენები, ბილეთების გაუყიდავობის გამო, აღარ იმართება, თეატრის კრესლოები დაცარიელდა და მარტო თეატრის კასირი დაღვრემილი გამოიყურება თავის ყაფაზიდამ.

ამ მდგომარეობას ჩვენის თეატრისას შველა უნდა და საჩქარო შველაც. არ ვიცით ამ შემთხვევაში „ვინ გასწევს მაჰმადობას", მაგრამ მკრთალი იმედი კი გვაქვს, რომ იქნება ხანგრძლივის ღრმა ძილის შემდეგ ჩვენმა დრამატიული საზოგადოების კომიტეტმა თვალები მოიწმინდოს, გამოვიდეს იმ კომიკურ მდგომარეობიდამ, რომელშიაც იგი თვისდა უნებურად ჩავარდა და ერთგულად მოჰკიდოს თავის საქმეს ხელი. მაშინ იქნება მისგან ამორჩეულმა პირმა მოახერხოს და მეტ-ნაკლებობა მოსპოს, ღირსეულს ღირსეული ალაგი მისცეს, ულირსი მისთვის შეუფერებელი ტახტიდამ ჩამოაგდოს და კვალად განუახლოს თეატრს ის ბედნიერნი დღენი, როდესაც ჩვენი საზოგადოება უკანასკნელს გროშს არ იშურებდა თავის საყვარელი საქმისადმი თანაგრძნობის აღმოჩენისათვის.

---

ჩაის მოყვანა ჩვენში

კავკასიის სამეურნეო საზოგადოების ერთს წარსულს სხდომათაგანზე განხილულ-იქმნა ფრიად საყურადღებო საგანი—ჩაის მოყვანა ჩვენში, სახელდობრ სოხუმის ახლო-მახლო ადგილებზედ. ამ კრებაზე საზოგადოებამ მოისმინა სიტყვა თავსმჯდომარის ამხანაგის ხათისოვისა, რომელმაც მოახსენა მას ყოველივე, რაც დაასკვნა ამ საგნისათვის შედგენილმა რჩევამ. რჩევამ საჭიროდ დაინახა ჩინეთის თემიდამ, ფუკენიდამ, გამოიწეროს სამი ჩაის მოყვანისა და შემუშავების კარგი მცოდნე და ოსტატი კაცი. ეს თემი იმიტომ აურჩევია რჩევას, რომ იქაური ჩაი, როგორც გამოცდილებამ დაამტკიცა სოხუმში, ბათუმში და ზუგდიდში, უფრო შესაძლებელია მოვიდეს ჩვენში. ოსტატების რიცხვი იმდენია, რამდენიც გაჭირვებაში შეიძლებს ყოველივე მუშაობა აწარმოვოს ჩაის მოყვანის დროს: მაგ. მოკრეფა ფოთლისა, გახმობა, გადმობრუნება და სხვ. ჩინეთის ოსტატები უნდა მოვიდენ ყოველ გვარი საჭირო იარაღით და თან საუკეთესო თესლიც უნდა წამოიღონ, ან და ნერჩი დასარგველი ბუჩქები.

რჩევის ანგარიშით, ყოველივე ხარჯი ამ საქმის დაწყებისათვის, ოსტატების მოყვანის გარდა, შეადგენს 1700 მან.

მოხსენების დასასრულს ხათისოვმა სთქვა, რომ იქნება ამ ცდამ ტყუილად ჩაიაროს და ნაყოფი არ მოიტანოს, მაგრამ ამისათვის ფულის დანანება არ შეიძლება, რადგან, შესაძლებელია, რომ ჩაის მოყვანა მოხერხდეს აქ და მაშინ მთავრობა ერთი ათად და ერთი ასად დაჯილდოვდება ამ მცირე ხარჯისათვისაო.

ზოგმა გამოსთქვა, რომ ცდა მარტო სოხუმში კი არა, სხვაგანაც მოხდესო (ხოჯაევი) მაგ. ლენქორანის

მაზრასა და ზაქათლის თემში, რადგან, თუ ერთგან არ იხარა ჩაიმ, იქნებ მეორე ადგილას იხაროსო. ამისათვის ხარჯი მეტი იქნება საჭირო, მაგრამ ისა სჯობიან 9,000—10,000 მ. დაიხარჯოს და რამ გამოვიდეს, ვიდრე მცირე ღონისძიებით, პირველსავე მარცხის შემდეგ, თუნდ მაგ. სოხუმში, ყველაფერს თავი დავანებოთ და შიგ დაბანდებული თანხაც დავლუპოთო.

ზოგმა გამოაცხადა, რომ საჭიროა კაცი გაიგზავნოს ჩინეთში ამ საქმის შესასწავლებლად, რომელსაც იქიდამ დაბრუნების შემდეგ, შეეძლოს ჩინეთის ოსტატებს თვალ-ყური ადევნოს და მათი მუშაობა შეამოწმოსო.

კრებამ ხმის უმეტესობით გადასწყვიტა: დაბარებულ იქმნან ჩინელები; ხარჯისათვის 5000 მან. იქმნას გადადებული და პირველ-ხნობით ვცადოთ ჩაის მოყვანა მხოლოდ სოხუმში ჩინელი ოსტატების შემწეობით, ხოლო კაცის გაგზავნას ჩინეთში ჯერ თავი დავანებოთო.

---

## შინაური ქრონიკა

— ჩვენ ვნახეთ თხოვნა მოზდოკელი ქართველის საზოგადოებისა, რომლითაც მას მიუმართავს „წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოებისათვის“, რომ ამ უკანასკნელმა იტვირთოს მათთვის პირველ-დაწყებითი სკოლის დაარსება. თხოვნაზე ხელი უწერია 40 კაცს და თითქმის ყველას ქართულად, ორიოდეს გარდა, რომელთაც რუსულად მოუწერიათ. მოზდოკის ქართველობა თავის მხრით აღუთქვამს საზოგადოებას, რომ ჩვენის ხარჯით სახლს დავიქირავებთ სკოლისათვისა და ვიტვირთებთ სხვა წვრიმალ საჭიროების დაკმაყოფილებას სასწავლებლის სასარგებლოდაო.

— ამას წინად, თუ არა ვსცდებით, ჩვენს გაზეთში იყო მოხსენებული, რომ ვლადიკავკაზის ქართველი საზოგადოებაცა ცდილობს სკოლა გაიმართოს „წერა-კითხვის საზოგადოების“ დახმარებითაო და ამ აზრით 400 მ. ფულიც გაიწერესო, მაგრამ ამ საგნის შესახებ ჯერაც არავითარი ცნობა ამ „საზოგადოების“ სამწერლოში არა სჩანს.

— დღეს თბილისის კრუჟოკში გამართავს კონცერტს საუკეთესო რუსული ხალხური სიმღერების კომპოზიტორი ბ. სლავიანსკი. დასავლეთ სლავიანების ქვეყნებში, სადაც ეს სლავიანსკი მოგზაურობდა წელს თავის გუნდით, დიდის ალტაცებით მიიღეს იგი. ჩვენი საზოგადოებაც იცნობს ამ მომღერალს. თუ არა ვსცდებით, ამ სამი ოთხის წლის წინად ბ. სლავიანსკიმ გააცნო თავი და თვისი გუნდი ჩვენს საზოგადოებას.

— ერთის დაბის დაწესებულებაში, სადაც ამ მოკლეს ხანებში ერთი ,,ამბავი'' მოხდა და პატარებმა ,,უფროსს'' აწყენინეს, პატარა რამ ცვლილება მომხდარა --დიდი, რომ ვსთქვათ —ზოგს არ იამება. ამბავის გამოსაძიებლად ამ დაბაში ჩასულა შეურაცხებულის უფროსის უფროსი. დაბის ვითომ უფროსს კაცებს ჩასულის უფროსისთვის სადილი გაუმართავთ და ყურშიაც რაღაცა უთქვამთ. ამ დაბის ,,ბატონებს'' საზოგადოდ სჩვევიათ ამ გვარად საიდუმლოდ ჩაჩურჩულება. ამ დიდს სტუმარსაც დაუჯერებია ,,ბატონებისათვის'' — სხვა არა იყო-რა, სადილი აჭამეს, პატივი სცეს და პატივისათვის პატივი ჯერ არს; ამდგარა ეს უფროსი და ამ დაწესებულების ერთი პირისათვის უთქვამს — თუ შეიძლებოდეს, ცოტა გაისეირნეთო. ეს პირი ორ საქმეს ასრულებდაო ამ დაწესებულებაში; ერთის საქმის ასასრულებლად მოუწვევიათ ისეთი კაცი, რომელსაც მინდობილი საქმე იმოდენად ესმის, რამდენადაც მე და შენ, მკითხველო, ჩინური ენა, მეორე საქმისათვის-კი, რადგანაც ამ საქმის ,,უიმისობა'' არაფრად მიაჩნიათ, არც არავის დაეძებენ და არც არავინ თავისით მოდისო იმიტომ რომ.. მეტს ნურაფერს იტყვითო.

— წარსული თვის 25 დ. ოჩემჩირეში გაუმართავთ ქართული სცენის მოყვარეთ წარმოდგენა ბ-ის ა. ჩახავას თაოსნობით. წარმოუდგენიათ კომედია ,,ცოლი ვტირო, თუ ფული'' თხზ. ა. თუთაევისა. საზოგადოება სიამოვნებით დასწრებია ამ წარმოდგენას, რომლის შემოსავალიც ადგილობრივის ახლად გახსნილის სკოლის სასარგებლოდ ყოფილა დანიშნული. ამას წინად აქ წარმოადგინეს კიდევ კომედია გ. ერისთავისა ,,ძუნწი'' — გვწერს კორესპონდენტი, და უნდა ვსთქვათ, რომ ამ ორმა წარმოდგენამ ალტაცებაში მოიყვანა ხალხი და რაღაც უცნობი სიხარულის გრძნობით აავსო ჩვენი გულიო. დიდი მადლობელი უნდა ვიყვნეთ თაოსნისა და მოთამაშეებისა, როგორც იმ სიამოვნებისათვის, რომელიც მათ მოგვიტანეს, ისე იმისათვისაც, რომ დაამტკიცეს, გონიერი და სასარგებლო დროს გატარება შეიძლება დამკვიდრდეს თუნდ ისეთს მიყრუებულს ადგილას, როგორიც ჩვენი დაბა ოჩემჩირე არის.

— სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს მოუთხოვია ადგილობრივ საგუბერნიო ადმინისტრაციათაგან ცნობანი იმის შესახებ, თუ რა ღონისძიებანი უნდა იქმნან ხმარებულნი, რომ გლეხ-კაცებს მამული ხელიდამ არ გამოეცალოთ და უმამულო ხალხი არ გამრავლდეს. როგორც შევიტყვეთ, ადმინისტრაციას შეუკრებია ყოველივე სტატისტიკური ცნობანი გლეხთა მიერ მამულისა და მიწა-წყლის მფლობელობის წესებზე და იმის ზრუნვაშია, რომ დაასკვნას თავისი აზრი ზემოხსენებულ ღონისძიებათა შესახებ. საგუბერნიო ადმინისტრაციას მიუმართავს ზოგიერთა ამ საგნის მცოდნე კერძო პირთათვისაც და უთხოვნია მათი დახმარება ამ ძნელსა და რთულს საქმეში.

— თან-და-თან ფეხს იკიდებს ქართული წარმოდგენების საქმე საქართველოს სხვა-და-სხვა შორეულ კუთხეებსა და მაზრებში და უნდა ვისურვოთ, რომ ამ სასიამოვნო მოვლენას უფრო მეტი სიმტკიცე მისცემოდეს. ამ დღეებში, როგორც გვწერენ ქ. სიღნაღში სცენის მოყვარულთა წრეს გაუმართავს ქართული წარმოდგენა: უთამაშნიათ «ბიძიასთან გამოხუმრება» და «ცოლი თუ გინდათ, ეს არის». შემოსავალი დანიშნული ყოფილა იქაურის წელს გახსნილის საქალებო სკოლისათვის, რომელიც გამართა ქ. რობიტოვისამ.

— ბაქოს სომხებს ეჩმიაძინის პატრიარქისა და სრულიად სომხეთ კათოლიკოსის არჩევანში მონაწილეობის მისაღებად ამოურჩევიათ ვინმე ს. მ. ვარშამოვი და ბ. მ. სტეფანოვი.

— ყარსის მცხოვრებთ შეუდგენიათ პროექტი საქალებო სკოლის სადგომის გადაკეთებისათვის და უთხოვნიათ ადგილობრივ სამხედრო გუბერნატორისათვის იშუამდგომლოს წინაშე კავკასიის მთავარ-მმართებლისა, მიეცეს მათ ნება, რომ გამართონ ხელის მოწერა და შეაგროვონ საკმაო ფული ორი წლის განმავლობაში ამ საგნისათვის.

— ამას წინად გამართულის სომხურის წარმოდგენიდამ, რომლის შემოსავალიც დანიშნული იყო ,,სომხური საქველ-მოქმედო საზოგადოების სასარგებლოდ'', სულ შემოსულა 689 მან. 80 კ. ხარჯ-გარეშე წმინდა შემოსავალი დარჩენილა 501 მან. 20 კ. (,,თბილისის განცხადებანი'').

— გაზ. ,,ნოვოროსიის ტელეგრაფში'' სწერენ რომ ფოთის ნავთსადგურის საქმე თან-და-თან კარგად მიდისო. უმთავრესი სამუშაო კიდეც გაუთავებიათ და ახლა მის ამოღრმავებისთვის მიუყვიათ ხელი. ის ქვიშა, რომელიც ამოაქვთ ნავთ-სადგურის ადგილიდამ, ბარჟებით მიაქვთ თურმე და შორს ზღვაში ყრიან. ამის გამო, განაგრძობს გაზეთი, — იქაური მცხოვრებლები შუამავლობენ, საცა ჯერ არს, რომ ეს ქვიშა ზღვაში გადაყრის მაგიერ, ზღვის ნაპირზე დაიყაროს და მით ფოთის გარშემო ჭაობიანი ადგილები იქმნას ამომშრალი. ეს სურვილი პატივდებაში მიუღია მთავრობას და ახლა თურმე ცდილობს ბარჟები მიჰყიდოს გზათა სამინისტროს აზოვის ზღვისათვის 50,000 მან., ხოლო ამ ფულით იყიდოს განსაკუთრებული მაშინები, რომლის შემწეობითაც ზღვის ძირიდამ ამოღებული ქვიშა პირ-და-პირ ზღვის ნაპირზე დაიყაროს ასამაღლებლად და აგრეთვე მოხმარებულ იქმნას ფოთის ჭაობების ამოსაშრობლად, რათა ამ სახით გაუმჯობესდეს ამ შესანიშნავის პორტის სანიტარული ვითარებაო.

— ,,ახალს მიმოხილვის'' რუსიიდამ გამოგზავნილს კორესპონდენციაში ვკითხულობთ შემდეგს: ერთი გლეხიკაცის ოჯახში ყვავილით შვიდი ბავშვი მომკვდარა; როდესაც დაუძახეს მღვდელს, შვიდსავე მიცვალებულზედ საზოგადო წესის ასასრულებლად, მამა ინ—ვმა მოსთხოვა გლეხს 21 მან., მაშასადამე თითო მიცვალებულში სამი მან. გლეხკაცს, რასაკვირველია არ ექმნებოდა ამდენი ფული და მღვდელმაც უარი განაცხადა შეესრულებინა თავისი მოვალეობა.

— ,,ჩრდილოეთის კავკაზში'' სწერენ ერთს შემთხვევას, მომხდარს სტავროპოლის სასულიერო სემინარიაში დეკემბრის 4 ღამით. ერთმა მოწაფემ იგრძნო მუცლის საშინელი ავადმყოფობა, რომლის მიზეზად იმ დღეს სადილზედ მიტანილი გაფუჭებული თევზი ჩასთვალეს. მოწაფეებს ვახშამზედაც გამოეცხადებინათ უკმაყოფილება საჭმელებზედ, მაგრამ ამისთვის არავითარი ყურადღება არ მიექციათ. მოწაფეებისგან უწესოების მოხდენის მიზეზად გახდა ერთი მოწაფის უეცრად ავად გახდომა. გამოძიება დანიშნულია, რომ გაიგონ არეულობის ნამდვილი მიზეზები.

---

## წერილი რედაქტორთან

მოწყალეო ხელმწიფევ!

ერთს საგანს მინდა მივაქციო ყურადღება, თუ თქვენი ნებაც იქმნება. — ქართულს დრამატიულ დასში უთანხმოება მომხდარა, რომელმაც გამოიწვია უსიამოვნო მიწერ-მოწერა. განხეთქილობას არა სასურველი ნაყოფი მოუტანია: დრამატიული დასი ორ ნაწილად გაყოფილა. ცხადია, ეს ამბავი ჩვენს თეატრს შეაფერხებს, დააბრკოლებს ისეთს საქმეს, რომელშიაც ყველას წილი უძევს, რომლის მნიშვნელობა ჩვენ, თანამედროვეთა, ჯერ კიდევ ვერ შეგვიძლია დავაფასოთ.

ჩვენს თეატრს, გარდა ზნეობითი გამაუმჯობესებელი მნიშვნელობისა, კიდე სხვა ვალდებულება აქვს და ამ ვალდებულების დაფასება მხოლოდ მომავალს ეკუთვნის. ჩემის აზრით, გარდა მწერლობისა, თეატრს არც ერთი სხვა საზოგადო საქმე არ უდრის: აქ არის ის სფერა, საცა გარეგანის მხრით შეფერხებას დიდი ძალა არა აქვს. ამ ექვსის-შვიდის წლის განმავლობაში თეატრმა ისეთი ღრმა კვალი გაავლო ჩვენს ცხოვრებაში, რომ საქართველოს მეცხრამეტე საუკუნის ისტორიაში ეს საგანი დაიჭერს ერთს საუკეთესო ადგილთაგანს. ამ ოცის-ოცდა-ათის წლის წინედაც დაარსდა ჩვენში თეატრი, მაგრამ ხელოვნურად აღმოცენებული იყო იგი და ამიტომაც მალე სული განუტევა. ეხლა ნიადაგიც შემუშავებულია, მოთხოვნილებაც გავრცელებული; ეს სხვათა შორის იმითაც მტკიცდება, რომ გა-

ნახლებულმა და აღდგენილმა თეატრმა ისეთი ტალანტით და ნიჭით სავსე პირები აღმოაჩინა, რომელთაც შეუძლიან არა-თუ ჩვენი პატარა, არამედ უფრო გამოჩენილი სცენა დაამშვენონ. ამ სიტყვების დამწერი ძალიან იჭვნეული ადამიანია: მის გულში უიმედობას უფრო მეტი ადგილი უჭირავს, ვიდრე აღმტაც იმედებს იმ საგნის შესახებ, რომლის ბედნიერება გულს სიხარულით აძგერებს და უბედობა საფლავსაც ჯოჯოხეთის ტანჯვით აღუშფოთებს. მაგრამ ნამდვილი და თვალ-საჩინო ფაქტი ეჭვების დამამარცხებელი იარაღია: იმ ერს, რომელსაც შეუძლია ამდენი ნიჭი ერთბაშად აჩუქოს თავის ქვეყანას ერთს რომელიმე ასპარეზზე სამოქმედოდ—იმ ერს, ვიმეორებ, მომავალი აქვს; იმას შეუძლია, თუ დროთა ვითარება ნებას მისცემს, სხვა გვარი საზოგადო სარბიელიც დაამშვენოს ნიჭებით და მოწინავე მომქმედ პირებით, რომელთა სიმრავლე სხვა-და-სხვა ცხოვრების სფეროში ამტკიცებს ერის სულის ძალას და მის გონებრივს სიფხიზლეს.

დღეს არც ერთს ჩვენს საზოგადო საქმეს არა აქვს ისეთი გაშლილი მოედანი, როგორც თეატრს, რომლის მნიშვნელობა ამის გამო უფრო მეტად დასაფასებელი უნდა იყოს.

მართალია, თეატრმა ფესვი გაიდგა; მაგრამ მძლავრი გრიგალი ას-წლოვან მუხასაც ამოგლეჯს მიწიდამ და რა გასაკვირი იქმნება, რომ განაწილებამ და უთანხმოებამ ჯერ კიდე ნორჩი ქართული თეატრი შეასუსტოს და მერმე სრულებითაც აღმოფხვრას.— დედა-მიწის ზურგზედ ისეთი სცენა არ არის, სადაც მელპომენის მსახურთა შორის უთანხმოება და შური არ იყოს; მაგრამ სხვაგან ეგრეთი მოვლენანი საქმეს ვერ დააზიანებენ, რადგან ყოველს ქალაქს თავისი თეატრი აქვს, და ვინც ერთს ადგილას ვერ მოთავსდება, შეუძლია მეორე ამოირჩიოს. აქ კი, სამწუხაროდ, ეს შეუძლებელია. თუ ჩვენი დრამატიულის დასის წევრნი აღმაღლდებიან იმ აზრამდე, რომ აწინდელს ჩვენს მდგომარეობაში თეატრი სასარგებლო, მაღალი და საქვეყნო საქმეა, მაშინ ისინი ეცდებიან დაივიწყონ პირადი უსიამოვნობა უმსხვერპლონ თავიანთი თავმოყვარეობა საზოგადო საქმეს, შეთანხმდნენ და ერთად შეუდგნენ თავიანთ ღირსეულის მოვალეობის აღსრულებას; ვინც ამ შემთხვევაში უმეტესს თავაზიანობას გამოიჩენს, ის არათუ არ დაამცირებს თავის თავმოყვარეობას, არამედ აღამაღლებს და საზოგადოების გულსაც მოიგებს. ამ გვარ შემთხვევაში თავ-მოყვარეობას ძალიან მოკლე ფეხი უნდა ჰქონდეს.

ერთხელ დიდმა მაჰმადმა შესძახა მთას: «ჩემკენ მოიწიეო! ჰა, რადგან შენ ადგილიდამ არ იძვრი, მე თითონ მოვალ შენთანაო!»

ვნახოთ ამ ჩვენს სასიქადულო საქმეში მაჰმადობას ვინ გამოიჩენს!!

## საქონლის ჭირი და მისი წამალი.

(წერილი ვეტერინარის ბოლოტოვისა, „კავკაზში".)

ჭირი ეტანება უფრო სხვილ-ფეხს საქონელს და სხვათა-შორის კამეჩსაც; ავად ხდებიან ჭირით აგრეთვე ცხვრებიც, მაგრამ შედარებით უფრო იშვიათად. აი, როგორი შეეტყობა საქონელს, როცა ჭირი შეხვდება: სულ პირველად ზანტად და უსიცოცხლოდ დაიწყობს სიარულს და ყურებს ჩამოუშვებს; სახსრებს ტკაცა-ტკუცი გაუდით; ბალანი აებურძგნება და აღარა ბრწყინავს, შარდზე ძალიან ხშირად გადის, ხოლო განავალი მაგარია. ხან-და-ხან მთელი ტანი უცახცახებს, თითქო კაციევით აცივებსო. შემდეგ კბილებს აკრაჭუნებს, ხველა უვარდება, და ცხვირ-პირიდამ დორბლი ჩამოდის და იცრემლება. ამ დროს საქონელი უფრო წოლას რჩეობს და ხშირად იქნევს თავს. ხან-გამოშვებით კვნესის კიდეც. თუ ზეზე დგას, ხშირად უცქერის თავის მუცელს. პირში რომ ჩახედო, ღრძილებზე ხორკლი აქვს შეყრილი და თითო-ოროლა ალაგას ხაჭოსავით წყლულები უჩანს. მერე მუცელში ფაღარათად ხდება, განავალს თეთრს ნაფლეთებს ატანს და ხან-და-ხან სისხლსაც.

ჭირი ძალიან ადვილად შეხვდება ჭირიანისაგან სალს საქონელს, უკეთუ ერთად სძოვენ, ან ერთად წყალსა სმენ, ან ერთად აბიან ურემში და ბოსელში, იმიტომ რომ ტყავი, ცრემლი, დორბლი, შარდი, ნეხვი, რძე, ხორცი და სისხლი ავადმყოფის საქონლისა—ყოველივე ეს ჭირიანია და რომ სალი საქონელი მიეკაროს ამაებს, ან დასუნოს, შეიძლება ძალიან ადვილად შეეყაროს ჭირი. ასე გასინჯეთ, ორი გუთნის გაშლაზე რომ ჭირიანი საქონელი იდგეს და ქარი იქიდამა ჰქროდეს, მცოდნე კაცებს შეუნიშნავთ, რომ მაშინაც შეეყრება ჭირი. რაც უნდა ხუსტად იყოს გავრცელებული ჭირი, ნახევარი ავად გამხდარი საქონლისა მაინც კვდება.

არ უნდა დავივიწყოთ, რომ ნამდვილი წამალი ჭირისა ჯერ-ჯერობით არ არსებობს. მაგრამ თუ კაცი გაფრთხილდა, შეიძლება გადაარჩინოს თავისი საქონელი ჭირისაგან: 1) არ უნდა გაატაროს საქონელი იმ სოფლებში, სადაც ჭირია. თუ მეტი ღონე არ არის, იქ უნდა ჩქარა გაატაროს და არ შეჩერდეს; 2) იქ არ უნდა გამოუშვა საქონელი, სადაც ჭირიანი საქონელი ჰყოლიათ; 3) სოფელში არ უნდა შემოიშვას საქონელი, თუნდა სალიც იყოს, იმ ადგილიდამ, სადაც ჭირია; 4) არ უნდა იყიდოს კაცმა იმ ადგილებში არა თუ საქონელი, არამედ ხორცი, ბზე, თივა და ჩალაც-კი; 5) სალ-ადგილსაც რომ იყოს ნასყიდი საქონელი, მაინც მაშინვე ნახირში არ უნდა გაერიოს და ცალკე უნდა შეინახებოდეს, რადგანაც, თუნდ ჭირიანი იყოს, შეიძლება ორის კვირის განმავლობაში სალად ეჩვენებოდეს კაცს; 6) უნდა აეკრძალოს ჩოდრებს იმ საქონლის გაყიდვა, რომელიც ჭირიანი ადგილებიდამ არის მორეკილი, ან ხოცვა საქონლისა და ტყავების ფენა გასაშრობად.

აი, რა ღონის-ძიებანი უნდა იქმნან ხმარებულნი, რომ ჭირი არ გავრცელდეს: შეეტყოს თუ არა საქონელს სისუსტე და სიზანტე, გაცალკევდეს სალი საქონლისაგან და ცალკე გომურში უნდა იყოლიონ. ზომური სოფელმა უნდა იქონიოს ამისათვის ისეთს ალაგს, რომ სალი საქონელი არ მოხვდეს. სოფელმავე უნდა მიუჩინოს კაცი ჭირიანს საქონელს მოსავლელად. ყველა ვეჯი და იარაღი, რომელიც მოხმარებული იქნება ჭირიანის საქონლის მოვლის დროს, უთუოდ უნდა გაიწმინდოს ისე, როგორც ქვემოდ მოვიხსენიებთ. ის კაციც, ვინც უვლის ჭირიანს საქონელს, სალს არ უნდა მიეკაროს, ვიდრე ტანისამოსს კარგად არ გაიწმენდს და ხელს ნაცრით ან საპნით არ დაიბანს. მკვდარი საქონელი დასაფვლელად ხარებითვე კი არ უნდა წაიღონ, უნდა ან კაცების შემწეობით გაათრიონ ან ცხენებით და დაფლან ტყავიანად, მაგრამ ტყავი უნდა დაიჭრას და დაისეროს. არ შეიძლება რომ ახლო სადმე დაიფლას საქონელი, ან გზასთან, ან წყალთან და რუსთან ახლო, არამედ რაც შეიძლება მოშორებით. აგრეთვე არ შეიძლება დაუფვლელი გადააგდონ მკვდარი საქონელი, ან ძაღლებს გადუგდონ საჭმელად; ნეხვი სანეხვეზე არ უნდა გადიყაროს და უნდა დაიწვას უსათუოდ. ჭირიანი საქონლის სადგურები უნდა წყალში გახსნილი კირით გაილესოს და ძირს მიწაზედ და ზღვეებზედაც უნდა მოესხას. ერთი კვირის შემდეგ, როცა ასე გამოშრება სადგური და ჰაერი გაუვლის, შეიძლება შეირეკოს შიგ სალი საქონელი. ყოველი ვეჯი, ხმარებული ჭირიანი საქონლის ბოსლებში, უნდა ნაცარწმინდით გაიხეხოს. რკინის ვეჯი ცეცხლზედ უნდა გახურდეს. ჭირიანმა საქონელმა იქ არ უნდა სვას წყალი, სადაც სალი სვამს. თუ ყველა ამას არ აასრულებს სოფელი და თანხმობით არ მოიქცევა და თუნდა ერთმაც არის დაარღვია ეს წესები, ყველაფერი ტყუილი იქმნება და ჭირი გავრცელდება.

ჭირიანს საქონელს ასე უნდა მოუაროს კაცმა. თუმცა ეს მოვლა ნამდვილი საშუალება არ არის, მაგრამ მაინც ძალიან უშველის მორჩენას: საქონელი ისეთს ალაგს უნდა დააბას, რომ მზე არ აცხუნებდეს და ნოტიო ჰაერი არ იყოს სადგურში. ავად გახდება თუ არა, მშრალი საჭმელი აღარ უნდა მიეცეს (ბზე, ჩალა, ქერი) და არც ბალახი, ამის მაგიერ უნდა აესვერიმოს წყალში ქატო, ან სხვა რამ ამ გვარი. ფაზხობის დროს სამარხვო ზეთი ერთ გირვანქამდე უნდა აირიოს თბილ წყალში და დაალევინოს. მუცელი ნავთით უნდა დაუზილოს. ოყნა დღეში სამჯერ უნდა გაუკეთდეს ცივის წყლით მცირეოდენის კარბოლკის არევით (სამ თუნგ წყალზედ 4 ჩაის კოვზი). ოყნა ხარის ბუშტითა და ლერწმით შეიძლება გაუკეთდეს. წყალი ხუთჯერ, ექვსჯერ შეიძლება მიეცეს, მაგრამ ცოტ-ცოტა, თუ შეიძლება დამჟავებული შინდით, ან შინდის ტყლაპით. სისხლის გამოშვება არ იქნება.

ყველა ეს წესები სავალდებულოა ხალხისათვის და თუ არ ასრულდა; ჭირი დაუბრკოლებრივ შეიძლება გავრცელდეს.

## ტელეგრამები

(„ჩრდილოეთის სააგენტოსი")

დეკემბრის 14.

**სოფია.** არქიეპისკოპოსის გლიმენტის თავჯ-მჯდომარეობით დაარსდა კომიტეტი, რომელმაც უნდა იღვაწოს მომავალის წლის მაისში ბოლგარიაში დღესასწაულობისათვის წმ. მეთოდეს მეათასე წლისა.

**მელბურნი.** თასმანიის და კვინსლენდის კოლონიები დასთანხმდენ, და ახალმა სამხრეთ-უელზმა და სამხრეთ-ავსტრალიამ კი უარი განუცხადეს იმათ, რომელნიც უარს ჰყოფდენ გერმანიასთან შეკავშირებას მშვიდ-ოკეანეში.

დეკემბრის 15-ს.

**პეტერბურგი.** როგორც ისმის, წინადადებაა დადგინდეს, რომ გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლთ აღარ ჰქონდეთ ნება ამ თანამდებობასთან ერთად აღასრულონ სხვა თანამდებობაც გუბერნიაში, გარდა საერო კრების თავსმჯდომარეობისა, საპატიო მომრიგებელ მსაჯულისა და სხვა საპატიო თანამდებობისა.

## ცნობანი

სამკურნალოში, რომელიც თბილისის მოქალაქეთ დაარსეს სახსოვრად 4 აპრილისა 1866 წლისა, ავად-მყოფნი მიიღებიან დილის 8 საათიდამ 12 საათამდის.

ყოველ დღე მიიღებენ ამ სამკურნალოში ავად-მყოფებს შემდეგი ექიმები: ტერ-გრიგორიანცი—8 საათიდამ 9 საათამდის. საბებო, საქალებო და საბავშვო ავადმყოფობის საწამლელად; ადამიანცი—9-დამ 10-საათამდე შინაგან და ნერვულ ავადმყოფობათა საწამლელად; ბენკლევსკი—10—11 საათამდე.—საქირურგო, სასიფილისო ავადმყოფობის წამლობისათვის და აგრეთვე კბილისა და ყურის ტკივილის საწამლელად; შტემბორსკი 11—12 საათამდე სიფილისისა და სხეულზე გამოყრილი მუწუკების წამლობისათვის. ამას გარდა გარაალევიჩი ორშაბათობით 9—10 საათამდე შინაგან ავადმყოფობის წამლობისათვის; გურონა ორშაბათობით, სამშაბათობით, ხუთშაბათობით

და შაბათობით შინაგან ავადმყოფობათა წამლობისათვის (10—11 საათამდე; მინკევიჩი სამშაბათობით და პარასკევობით 9—10 საათამდე ხირურგიული ავადმყოფობისათვის; ხამჩინსკი სამშაბათობით და შაბათობით 11—12 საათამდე თვალის ტკივილის საწამლველად; კრასნოგლიადოვი ორშაბათობით და პარასკევობით 10—11 საათამდე შინაგან ავადმყოფობათა წამლობისათვის; ვოლფსონი კბილის ტკივილის საწამლველად მიიღებს თავის სახლში ყოველთვის ღარიბ ავადმყოფებს, რომელთაც სამკურნალოდამ ბარათი ექმნებათ.

**საავადმყოფოს დირექტორი ბ-ნი ევრემიშვილი** ამით აცხადებს, რომ ქ. თბილისის მოქალაქეთა მიერ გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის დაარსებულს საავადმყოფოში 1866 წლის აპრილის 4-ის მოსაგონებლად შემოღებული არის მცხოვრებთა შეღავათისათვის ღამღამობით მორიგად ყოფნა ბბ. ექიმთა და ბებიათა.

**ექიმები:**

**არუთინიანი**, ორშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით.

**კორონა**, სამშაბათობით და შაბათობით.

**მელიქ-ფარსადანოვი**, ოთხშაბათობით და პარასკევობით.

**ბებიები:**

**ფილჩაკოვისა**, სამშაბათობით.

**ბაგინოვისა**, ორშაბათობით, და პარასკევობით.

**სტეფანოვისა**, ოთხშაბათობით და შაბათობით.

**ლოქშისა.** ხუთშაბათობით და კვირაობით.

**მაზანდა**

ხორაგისა, რომელიც იყიდება თბილისის ბაზრებში, დუქნებში და ხელ-და-ხელ 16 დეკემბრიდამ 1 იანვრამდე 1885 წ.

გამომცხვარი პური რუ-
სულის ფქვილისა — —1 გირ. 5 კ.
აჭაურის ფქვილისა: პირ-
ველის ხარისხისა— —1 გ. 2½ კ.
მეორისა— — —1 გ. 2 კ.

იმავე ფქვილ. თონეში გამომცხვარი:
პირველი ხარისხის —1 გ. 4½ კ.
მეორისა— — —1 გ. 3 კ.
მესამისა— — —1 გ. 2½ კ.

ჭვავის-მამი პური:
პირველი ხარის. ლავაში 1 გ. 4½ კ.
მეორის ხარის. ლავაში 1 გ. 3½ კ.
მესამისა — — —1 გ. 3 კ.

ძროხის ხორცი:
პირველის ხარისხისა —1 გ. 8 კ.
მეორისა— — —1 გ. 7 კ.
სუკი . . . —1 გ. 15 კ.
ცხვრის ხორცი —1 გ. 8 კ.

ღორის ხორცი:
პირველის ხარისხისა—1 გ. 8 კ.
მეორისა— — —1 გ. 7 კ.

**რკინის გზა**

თბილისიდამ ბათუმისკენ მიდის
8 საათზედ და 31 წამ. დილით
თბილისიდამ მარტო ხაშურამდინ
3 საათ. და 11 წამ. შუადღის უკან.
თბილისიდამ ბაქოსკენ
10 საათზედ და 45 წამ. დილით.
(სამშაბათობით და შაბათობით საჩქარო
10 ს. 58 წ. ღამ.)

ქუთაისიდგან თბილისისკენ
12 საათზ. და 25 წამ. შუადღ. უკან.
ქუთაისიდგან ბათუმისა და ფოთისკენ
5 საათზედ და 20 წამ. შუადღის უკან.
ბათუმიდგან თბილისისკენ
8 საათ. დილით.
ფოთიდგან თბილისისკენ
8 საათ. და 45 წამ. დილით.
ფოთიდამ დ ბათუმიდამ მომავალი თბილისში შემოდის
10 საათზედ და 25 წამ. ღამით.
მარტო ხაშურიდამ მომავალი თბილისში შემოდის
8 საათზედ დილით
ბაქოდამ მომავალი შემოდის თბილისში
2 საათ. და 30 წამ. შუადღის უკან.
(სამშაბათობით და პარასკევობით საჩქარო 7 ს. 53 წ. დილ.)

# განცხადებანი

**ინგლისური რკინის კროვატები.**



ერთის საწოლი 7 მანეთიდგან და ორის საწოლი 14 მანეთიდგან, მათი ლეიბები, ზღვის ბალახით გატენილი 5-დგან 8 მანეთამდინ. გარდა შემდეგი ნივთები იყიდება 25%-ით უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან სადმე: ბრიტანიის მეტალის ნივთები, ჩაიდნები, საკარაქე, საშაქრე, ჩაის და სტოლის კოვზები ჩანგლებით, ფადნოსი, დასადგმელი, პირის-საბანი, სტაქნები, სუფოგნიკი, საწყაოები, რიუმკები, გრაფინები, საქაშური თებშები, ბლიუდები, სასალათეები, ტაშტები, სარძევეები, სამარილეები, გარჩიცის საფხეკები, უნაგირები კაცისა და ქალისა; აღვირები, ხლისტები, ტანისამოსის დასაკიდებლები, საბალო მაგრატლები, ჯაჭვები, უთოები, წისქვილები, ხერხები, ქლიბები, კლიტეები, ინგლისის თოფები და რევოლვერები, პიკები, ზარიადები, კაპსიულები, ხაფანგები, ნიჩბები, კატერპრუფი, საბნები, ჩულქები, წინდები, სუფრები, სალფეტკებისათვის რგოლები, ემალიანი ჭურჭელი, მურაბები, კამფეტები, პიკულები, სოუსები, ზღვის ბალახი, დიმიტიკონები და სხვ. ინგლისურს მაღაზიებში №№ 156-157, 158, 159, და 160. ამ ნომრებს ყურადღება მიაქციეთ. (100—71)

# ვექილი

ვიცავ ყოველგვარს სისხლის სამართლის საქმეებს. უსასყიდლოდ ვვექილობ და რჩევას ვაძლევ ღარიბთა. ვცხოვრობ ვაგზალთან, „ზოლოტოი იაკორის“ სასტუმროში, ი. პ. პაცცი.

(3—1)

**ჟურნალი „ნობათი“-ს გამოცემა 1885 წელში.**

(წელიწადი მეორე)

საყოველთაო ყრმათა საკითხავი სურათებიანი ჟურნალი

# „ნობათი“

პედაგოგიურის ნაწილის დამატებით—მშობელთა და აღმზრდელთათვის—მომავალს 1885 წელში გამოვა იმავე პროგრამით, მიმართულებითა და სივრცით, როგორათაც 1884 წ.

**ჟურნალზე ხელის-მოწერა.** წლიური ფასი ჟურნალი «ნობათი»-სა—ქალაქში დარიგებით და გარეშე გაგზავნით, დარჩა იგივე, ე. ი. ოთხი მან. მარტო ნახევარი წლის ხელის-მოწერა არ მიიღება. ცალკე ნომერი ღირს ათი შაური.

სოფლის მასწავლებელთ შეუძლიათ გამოგზავნონ: თავ-და-პირველად ორი მან. და დანარჩენი ორი მანეთიც—მაისში. რომელთაც ამ რიგად ხელის-მოწერა ჰსურთ, პირ-და-პირ რედაქციას უნდა მიმართონ.

**ხელის-მოწერა** მიიღება: თბილისში—ჟურნალი «ნობათი»-ს რედაქციაში, ალექსანდროვის ბაღთან, ხაზინის გვერდით, თუმანიშვილების სახლში № 7 და შავეროვის წიგნის სააგენტოში. ქუთაისში—ძმ. ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გორში—ეკ. ფურცელაძესთან და თელავში—ივ. როსტომაშვილთან.

ფოსტის ადრესი: *Тифлисъ, въ редакцію грузинскаго педагогическаго журнала „Нобати“.*

(5—4) რედაქტორი-გამომცემელი ა. ს. ღულაძე.

**გაიხსნა ხელის-მოწერა 1885 წლისათვის ქართულ სასულიერო გაზეთს**

# „მწყემსზედ“

**და „მწყემსი“-ს რუსულს თვიურს დამატებაზე.**

მიზანი და დანიშნულება გაზეთისა: 1) შეატყობინოს სამღვდელო და საერო წოდებას ყველა განკარგულება და მოქმედება უმაღლესთა სასულიერო და სახოციელო მმართებლობათა, კონსისტორიათა და მღვდელ-მთავართა, რომელთა გამოცხადება შესაძლო იქნება; 2) გაავრცელოს ქართველთა სასულიერო წოდებაში და ხალხში საეკლესიო და საზოგადოებრივი სალიტერატურო სწავლა და ცოდნა; 3) გაავრცელოს საქართველოს სამღვდელო და საერო წოდებაში სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივი კეთილი ზნეობისა და სარწმუნოებისა და 4) აუხსნას და განუმარტოს სამღვდელო და საეკლესიო მოსამსახურე პირთა ზოგიერთი საეჭვო კითხვები, რომელთა ცოდნა მიუცილებელ საჭიროებას შეადგენს მათ-მიერ მტკიცედ მათი მოვალეობის ასრულებისათვის.

გაზეთი „მწყემსი“ გამოვა წარსული წლების მსგავსად ორ კვირაში ერთხელ ორ საბეჭდავ ქაღალდის ფურცელზე.

რუსული დამატება „მწყემსი“-სავე პროგრამით და მიმართულებით გამოვა ორ საბეჭდავ ქაღალდის ფურცელზე—თვეში თითოჯერ.

„მწყემსი“-ს ფასი მთელი წლისა გაგზავნით—**ხუთი მანათი.**

ნახევარის წლის—**სამი მანათი.**

„მწყემსი“-ს ფასი რუსულის თვიურის დამატებით ერთი წლისა **ექვსი მანათი.**

ნახევარი წლისა—**ოთხი მანათი.**

ცალკე რუსული დამატების ფასი წლისა—**სამი მანეთი.**

ნახევარი წლისა—**ორი მანეთი.**

წერილებით და პირის-პირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება რედაქციაში, რომელიც იმყოფება დაბა ყვირილაში საკუთარს რედაქტორის სახლებში.

გაზეთის დაბარება შეიძლება ამ ადრესით: **Въ Квирилы, въ редакцію „МЦКЕМСИ“.** (ყვირილაში, „მწყემსი“-ს რედაქციაში).

(3—1)

სკოლის  კალმები

რომლებითაც შეიძლება წერა სულ მსხვილ, უსუფთაო ქაღალდზე. ერთად ერთი სააგენტო ინგლისის მაღაზია. იქვე აუარებელი სხვა-და-სხვა გვარი კალმები ყოველის «ხელისათვის»—25% იაფად, ვიდრე სხვაგან. იქვე: მელანი, ქაღალდი, კანვერტები, რვეულები, ლაქი, კარანდაში, პენალი, კალმები, ბუმაჟნიკები, პორტ-სიგარები, ალბომები, რამკები, მაკრატლები, სამართებლები, სანთელი, სალესი, ცარაშკები ჭურჭლის საწმედად (ბორაკსი) თეთრეულისათვის, პატარა ხალები იატაკისათვის, კლეონკები, ტაშტები, სავარძლები, სარკეები, სავარცხლები, ბეჭდები, ზარები, ბინოკლები რულეტკები, ვატერპასები, მზის-საათები, კომპასები, ტერმომეტრები, ძეწკვები, ნემსები, მაგნიტები, სვისტოკი, პომოჩი, ქამრები, სარტყლები, პრობკები, საპრობკეები, კრანები, ფილტრები, შროტები, თავისა; ტანისამოსისა, ცხენისა და პატენტიანი მაგინტოშები, გრაგები, საქმიო ქაღალდი ვატერ-კლოზეტისათვის და სხვ. და სხვ.

პატაშკი—20 კაპ. (100—28)